


გელათის სამონასტრო კომპლექსის
რეაბილიტაციის პროექტი

დასკვნა არქიტექტურის სამუშაოების შესახებ

2008-წელი



16 ფურცელი

საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებელი ეკლესიის
ეპისკოპოსოს მართლმადიდებელი ეკლესია
საგარეო ურთიერთობების განყოფილება
19 IX 2011წ N1561
ადრისხვის №
ადრისხულია



საგარეო ურთიერთობების განყოფილება
GEORGIAN HERITAGE

დასკვნა არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ

კავშირი „საქართველოს მემკვიდრეობა“

სამუშაო ჯგუფი
როლანდ ისაკაძე
ოზარ ღანჩავა



გელათის კომპლექსის ტერიტორიაზე გაჭრილ გეოლოგიურ შურფებზე ჩატარებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

პროექტის არქეოლოგიურმა ჯგუფმა განახორციელა გელათის სამონასტრო ანსამბლის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გეოლოგიური შურფების არქეოლოგიური მეთვალყურეობა. სულ დაიგეგმა 35 და გაიჭრა 33 შურფი (ტოპოგეგმაზე დატანილი შურფების განლაგების გეგმა ანგარიშს თან ერთვის). შურფებში გამოვლენილი კულტურული ფენები განხილულია სტრატეგრაფიული თანმიმდევრობით (ზემოდან ქვემოთ).

შურფი №1. (სურ. 1, 37). გაიჭრა 1,7 მ-ის სიღრმეზე. სტრატეგრაფია: 1. თანამედროვე ჰუმუსი (20 ს.) გვიანი შუასაუკუნეების უსახო კერამიკითა და 1970 წლის საბჭოთა მონეტით; 2. განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების კერამიკის ნატეხების შემცველი შავი, ნაშალი მიწის ფენა (60 სმ.); 3. მე-2-ე ფენა დევს დუღაბით შემყარებულ ძველ სტრუქტურაზე.

შურფი №2 (სურ. 2). 50-70 სმ-ის სიმაღლის შავი ჰუმუსური ფენის ქვეშ გამოჩნდა ძველი ნაგებობის დუღაბიანი სტრუქტურა, რომელშიც დევს მთელი აგური (25X25X5 სმ.). №1 და №2 შურფებმა უჩვენა, რომ მიწის ზედაპირზე არსებული გვიანდელი შენობა ნაწილობრივ „მორგებულია“ ძველ ნაგებობაზე, რომლის ფუნქციისა და თარიღის დასადგენად და რეაბილიტაციის პროექტის შესადგენად აუცილებელია ამ მონაკვეთის არქეოლოგიური შესწავლა.

შურფი №3. (სურ. 3). ყოფილი სახალხო აკადემიის ქვეშ 2007 წელს გამოვლენილი თაღოვანი ნაგებობის სწორკუთხა სვეტის (იხ. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ქუთ. 2008 წ. გვ. 10-12) ფუნდამენტი გაჭრილია მოყვითალო თიხნარ გრუნტში.

შურფი №4 (სურ. 4). შურფში ჩაღრმავება მოხერხდა 1,4 მ-ის სიღრმემდე. სტრატეგრაფია: 1. ჰუმუსური ფენა (20 სმ.); 2. დუღაბის ნაშალი ფენა (30 სმ.); 3 შავი, ნაშალი მიწის ფენა (90 სმ.). შურფის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირდა დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული ძველი ნაგებობის კედლის ნაშთი. №3 ფენით შევსებულია უკვე გაუქმებული ძველი ნაგებობის ინტერიერი, №2 ფენა კი

აღნიშნული კედლის ნანგრევია. XIX ს-ის ბოლოს აგებული ყოფილი „სახალხო აკადემიის“ შენობის ჩრდილოეთის კედელი გაჭრილია №№2-3 ფენებში და ჩადის 1,3 მ-ის სიღრმეზე. არქეოლოგიური მასალა არ დასტურდება.

შურფი №5 (სურ. 5). სტრატოგრაფია: 1. თანამედროვე ბეტონის საფარი. 2. XIX-XX სს-ის ნაშალი (40 სმ). 3. ნანგრევი ღორღი (30-40 სმ). 4. მოშავო მიწის ფენა (20 სმ). ეს ფენა ადევს სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართულ ძველი ნაგებობის კედელს. არქეოლოგიური მასალა არ დასტურდება. №№3,4,5 შურფები უჩვენებს, რომ რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აუცილებელია თაღოვანი ნაგებობის კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლა.

შურფები №№6,7 არ გაჭრილა, რადგანაც ისინი დაგეგმილი იყო გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში არსებულ მოქ. კ. ჯანგავაძის საცხოვრებელი სახლის გარშემო.

შურფი №8 (სურ. 6, 34). გაიჭრა აკადემიის ჩრდილო-დასავლეთ გარე კუთხეში, თავდაპირველ კედელსა და გვიან მიშენებულ სწორკუთხა კონტრფორსს შორის. ერთი მეტრის სიღრმეზე აღებული იქნა ღორღიანი, ნგრევის ფენა და გაირკვა, რომ ორივე სტრუქტურა დაშენებულია კლდოვან ქანზე. ნგრევის ფენაში ამოვიდა XIX ს-ის ღარიანი კრამიტების ნატეხები.

შურფი №9 (სურ. 7, 34) გაიჭრა აკადემიის ინტერიერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გვიანი შუასაუკუნეების სატრაპეზოს კუთვნილი მერხების (სიგანე 1,9 მ; სიმაღლე 50 სმ) უკან, უძრავ ფენაში. 5 სმ-ის სიმძლავრის ჰუმუსური ფენის ქვეშ გაიწმინდა მერხების იატაკის დონე. იგი შედგენილია 5 სმ-ის სისქის მოთეთრო კირხსნარით, რომელსაც ქვეშ უდევს 20 სმ-ის სიმძლავრის ნატეხი ქვებისა და მოყვითალო ხრეშოვანი კირხსნარის მომზადება, რომლის ფიქსაციისა და აღების შემდეგ გამოჩნდა აკადემიის ფუნქციონირების დროინდელი მერხების კუთხე. ისინი მიდგმულია პირდაპირ კედლების ძირში, ნაგებია კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვებით და შელესილია კირხსნარის თხელი ფენით. მერხების სიგანე 55 სმ-ია, სიმაღლე 30 სმ. ამ დონეზე დაფიქსირდა 5-6 სმ-ის სისქის კირხსნარის იატაკის თავდაპირველი დონე, რომელიც ყოველგვარი მომზადების გარეშე თიხნარ გრუნტსა და კლდეზე დევს. თავდაპირველ და სატრაპეზოს დროინდელი მერხების იატაკის მომზადებას შორის არსებული სივრცე (30 სმ.) შევსებულია დუღაბის ნაშალი-ნანგრევი შრით, რომელშიც აღმოჩნდა ლურჯად მოჭიქული კალიპტერის ტიპის კრამიტისა და თხელკედლიანი, წნეხვით ნაპრიალები ჯამის ნატეხები. ეს მასალა განვითარებული შუასაუკუნეებისაა. თავდაპირველი იატაკზე დაფენილი ნაშალი 1510 წლის შემდგომ გაჩენილი ჩანს.

შურფი №10 (სურ. 8, 34) გაიჭრა აკადემიის დასავლეთ ექსტერიერში, თაღოვანი შესასვლელის საყრდენი კედლების ძირში. მთელი სტრუქტურა ამ მონაკვეთში თითქმის მთლიანად გაშიშვლებულ კლდეზე დევს. კედლის გადაწმენდისას აღმოჩნდა მწვანედ მოჭიქული ღარიანი კრამიტის ფრაგმენტი. იგი შედარებით უხარისხოა, და სატრაპეზოს ფუნქციონირების დროინდელია. აკადემიის ინტერიერში გაჭრილმა №№8, 9, 10 შურფებმა თვალნათლივ უჩვენეს, რომ რეაბილიტაციის პროცესში აუცილებელია ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა.

შურფი №11 (სურ. 9). სტრატეგრაფია: 1. ბეტონის ბილიკის შრე (10 სმ.); 2. ჰუმუსი (30 სმ.); 3. მოხატული თუ შეღებილი შელესილობის ნაშალი შრე; 4. მოშავო მიწის ფენა, რომელიც დაფენილია კლდეზე და თიხნარ გრუნტზე. კედლის ფუნდამენტი ზის ყამირზე. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №12 (სურ. 10). სტრატეგრაფია: 1. ბეტონის ბილიკის შრე (10 სმ.); 2. 20 სმ-ის სიმძლავრის მოშავო ნაშალი მიწის ფენა დევს ნახანძრალ, დამწვარ გრუნტზე, რომელიც 1510 ან 1759 წლის მოვლენებს (სელიმ I ან ლეკთა მარბიელი ლაშქრობები) უნდა დაეუკავშიროთ. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №13 (სურ. 11). მთავარი ტაძრის დასავლეთის შესასვლელის კედლის ფუნდამენტი მიწის ზედაპირზე გაშიშვლებულ კლდეზე დევს.

შურფი №14 (სურ. 12). სტრატეგრაფია: 1. ბეტონის ბილიკის შრე (10 სმ.); 2. მთავარი ტაძრის თანადროული სამშენებლო (ანატკეცების) შრე (5 სმ.) დაფენილია მოყვითალო თიხნარ გრუნტზე. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №15 (სურ. 13). მთავარი ტაძრის ფუნდამენტები მიწის ზედაპირზე გაშიშვლებულ კლდეზე დევს. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №16 (სურ. 14). სტრატეგრაფია: 1. ბეტონის ბილიკის შრე (10 სმ.); 2. შავი ჰუმუსური ფენა (10 სმ.); 3. მთავარი ტაძრის თანადროული სამშენებლო (ანატკეცების) შრე (20 სმ.) დაფენილია მოყვითალო თიხნარ გრუნტზე. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №17 (სურ. 15). წმ. გიორგის სახ. ეკლესიის ფუნდამენტი (სიღრმე 1,3 მ.) ზის კლდესა და მოყვითალო თიხნარ გრუნტზე. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №18 (სურ. 16, 37). 1. ბეტონის ბილიკის შრე (10 სმ.); 2. შავი ჰუმუსური ფენა (30 სმ.); 3. სამშენებლო ანატკეცების შრე (10 სმ.); 4. მოშავო მიწის ფენა (40 სმ.) დევს მოყვითალო თიხნარ გრუნტზე. ხოლო კედლის ფუნდამენტი კლდეზე. №№2, 3 ფენებში დაფიქსირდა ქვევრის ძირი და მოხალისფროკეციანი, ბრტყელძირა ჭურჭლის ქუსლი (დაახლ. XIII-XIV სს.).

შურფი №19 (სურ. 17). XIX ს-ის ბოლოს აგებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახლის კედელი პიდაპირ დაშენებულია გაურკვეველი დანიშნულების ძველი ნაგებობის კედლებზე. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა. ეს მონაკვეთი არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს.

შურფი №20 (სურ. 18, 40). სტრატეგრაფია: 1. ჰუმუსი (20 სმ.); 2. შავი მიწის ფენა (50 სმ.); 3. მოყავისფრო მიწის ფენა დევს თიხნარ გრუნტზე. XIX ს-ის ბოლოს აგებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახლის კედლის ფუნდამენტი (70 სმ.) გაჭრილია პირველ და მეორე ფენებში. მესამე ფენაში გაიწმინდა სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული ქვიტკირის ძველი კედლის ნაშთი. მე-2-ე ფენაში ამოვიდა გვიანი შუასაუკუნეების პირმოყრილი ჯამის ნატეხები, მე-3-ე ფენაში კი დაახლ. XIV-XVI სს-ის კერამიკა, მათ შორის ანგობის გარეშე მწვანედ მოჭიქული ბრტყელი კრამიტის ნატეხი.

შურფი №21 (სურ. 19). სტრატეგრაფია: 1. XIX ს-ის? შენობის ცოკოლის დონე დაფარულია 80 სმ-ის თანამედროვე ნაყარი მიწით; 2. 1,3 მ-ის სიმაღლის შავი ნაშალი მიწის ფენა. როგორც ჩანს შენობის ფუნდამენტი „მორგებულია“ ძველ ნაგებობაზე. ეს კარგად დასტურდება №22 შურფში. №21 შურფის გრუნტამდე დაღრმავება ფიზიკურად ვერ მოხერხდა. არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №22 (სურ. 20, 36). XIX ს-ის? შენობაზე მიშენებული თანამედროვე აგურის უფუნდამენტო კედელი უშუალოდ ახის ძველი ნაგებობის ნაშთებს. ჩანს თადის ქვებიც. დაძრულ ფენაში აღმოჩნდა XVI-XVII სს-ის პირმოყრილი, ბრტყელძირა ჯამებისა და მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, განვითარებული შუასაუკუნეების ქოთნის, მინის სასმისის ქუსლის, ანგობზე მწვანედ მოჭიქული ბრტყელი კრამიტისა და ღრუქუსლიანი, კალთააკეცილი, პოლიქრომული ჯამის ნატეხები. ეს მონაკვეთი არქეოლოგიურ შესწავლას მოითხოვს.

შურფი №23 (სურ. 21). 1,3 მ-ის სიღმეზე გაირკვა, რომ ამ მონაკვეთში გვიან რესტავრირებული გალავანი თავდაპირველ გალავანზეა „მორგებული“, რომელიც თავის მხრივ კლდოვან ქანზე ზის. კულტურული ფენა არ დასტურდება, არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

შურფი №24 (სურ. 22). კარგად გადარჩენილი გალავნის კედელი ზის კლდოვან ქანზე. კლდიდან 80 სმ-ის სიმაღლეზე გალავნის კედელში გამოდის სუფთად გათლილი ქვებით მოწყობილი ღვარსადენის დაბოლოება. სავარაუდოდ ეს იმ ღვარსადენის დაბოლოებაა, რომლის ცალკეული ნაწილები 2007 წელს სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოებისას აღმოჩნდა (იხ. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური

სამუშაოების ანგარიში, ქუთ. 2008 წ., გვ. 11-12., სურ. 6-12-13-16) და რომლის ქვაში ნაკვეთი ერთი მონაკვეთი აკადემიის სამხრეთით მიწის ქვეშ არსებულ ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების თაღოვანი ნაგებობის ინტერიერში ფიქსირდება. აღნიშნული სისტემა განვითარებული შუასაუკუნეების ქართული საინჟინრო-ჰიდროტექნიკური მშენებლობის??? შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს და საგანგებო არქეოლოგიურ შესწავლას და რეაბილიტაციას საჭიროებს.

შურფები №№25-26-27 (სურ. 23, 24, 25, 38, 39). ზოგ ადგილებში სხვადასხვა დროს ნაწილობრივ რესტავრირებული გალავნის ძირა, თავდაპირველი ნაწილები კლდოვან ქანზე ზის და 50-60 სმ-ის სიმაღლეზე დაფარულია ღორღითა და ჰუმუსით რომელშიც ფიქსირდება სხვადასხვა დროის გადანაყარი მასალა: განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქავი სამზარეულო და სუფრის ჭურჭლისა და მწვანედ, ლურჯად და ყვითლად მოჭიქული ბრტყელი და ღარიანი კრამიტების ფრაგმენტები.

შურფი №28 (სურ. 26). რთული რელიეფისა და გაუვალი მცენარეული საფარის გამო №28 შურფი რამდენიმე ათეული მეტრით გადაადგილდა №27 შურფის მიმართულებით მოქალაქე იოსებ ყიფშიძის ეზოში. გალავნის კედელი აქაც კლდეზე ზის, ოღონდ სხვა მონაკვეთებისგან განსხვავებით გამოეყოფა ცოკოლის ერთი რიგი. შურფისგან დასავლეთით, ათიოდე მეტრის დაშორებით შემორჩენილია გალავანზე მოგვიანებით მიდგმული, თლილი ქვებით ნაგები, ჯერჯერობით დაუდგენელი ფუნქციის მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი. გალავნიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 6-8 მეტრის მოშორებით მიწის პირზე კიდევ ერთი სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი იკითხება, რომლის წინაც დასტურდება კულტურული ფენა და ზედაპირულად იკრიფება განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სუფრისა და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. პროექტით გათვალისწინებულ გალავნის გარშემოსასვლელი 10-15 მეტრის სიგანის ტურისტული ბილიკის მოწყობის პარალელურად აუცილებელია ამ მონაკვეთის არქეოლოგიური შესწავლა და გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია.

შურფები №№29-30-31-32-33 (სურ. 27, 28, 29, 30, 31). საშუალოდ 20-30 სმ-ის ჰუმუსის ქვეშ ყველა შურფში იწყება მოყვითალო თიხნარი გრუნტი ან კლდე.

შურფი №34 (სურ. 32). დავით აღმაშენებლის საფლავის დასავლეთის კედლის მოგვიანებით გადაკეთებული გარე ფასადი და ოვალური მოხაზულობის კონტრფორსი ერთ დონეზე მდებარეობენ და თანადროული ჩანან. ორივე უფუნდამენტოა და პირდაპირ დასმულია სხვადასხვა ზომის კედლის ქვებითა და ნაშალი ღორღით შედგენილ

ფენაზე, რომელშიც მხოლოდ 1,4 მეტრზე მოხერხდა ჩაღრმავება. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. დავით აღმაშენებლის საფლავის სამშენებლო ფენების დაზუსტებისა და რეაბილიტაციის პროექტის სრულყოფისათვის საჭიროა გვიანდელი, უსახური შრეებისგან მისი ნაწილობრივ მაინც განთავისუფლება და ექსტერიერის არქეოლოგიური შესწავლა.

შურფი №35 (სურ. 33). აქაც თავდაპირველი არქიტექტურული ფენა გადაფარულია გვიანდელი შრეებით, ხოლო გვიანდელი, ალბათ ფუნდამენტის გასამყარებელი კედელი 1,7 მ-ის სიღრმეზე ჩასმულია შავი, ნაშალი მიწის ფენაში, რომელშიც დაფიქსირდა დაკირული ქვევრი და XVII-XVIII სს-ის ბრტყელძირა ჯამის ნატეხი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ №№1-2-3-4-5-6-7-8-9-10-19-20-21-22-28-34-35 შურფების მიმდებარე მონაკვეთებში დასტურდება სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სიმძლავრის კულტურული ფენები და დღემდე უცნობი და გაურკვეველი დანიშნულების არქიტექტურული ნაგებობები. პროექტის ფარგლებში აუცილებელია მათი ეტაპობრივი არქეოლოგიური შესწავლა და რეაბილიტაცია (შესაძლებლობის ფარგლებში ფუნქციის აღდგენით). კომპლექსის ტერიტორიის არქეოლოგიურად განსაკუთრებით აქტიური ზონები ანგარიშზე თანდართულ სიტუაციურ გეგმაზე აღნიშნულია პუნქტორით და იისფერი ტონალობით.

არქეოლოგი /რ. ისაკაძე/

ქუთ. 12. 08. 08.

7



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29



30



31



32



33



34



35



36



37



38



39



40

გელათის მონასტრის წყალმომარაგების სისტემა

ისტორიული მონაცემები

უძველესი ცნობები გელათის მონასტრის წყალმომარაგების სისტემის შესახებ დაცულია იმერეთში რუსი დიპლომატების, ტოლოჩანოვისა და იევლევის, 1650-1652 წწ. ელჩობის მუხლობრივ აღწერილობაში. თუმცა ცნობები ძალზედ მცირეა.

გელათის წყალსადენი მნიშვნელოვნად განსხვავდება თანადროული ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების ანალოგიური სისტემებისაგან. რამდენათაც მათი წყალმომარაგება საკმაოდ შორი მანძილიდან ხორციელდებოდა. გელათის წყალსადენის სათაო ნაგებობა მისგან 180 მ მოშორებით მდებარეობს. რომლის სახელზეც დაარსებულია მცირე ეკლესია, მას წყაროსთავის ეკლესიას ეძახიან, რომელის კედელზეც დასავლეთის გარე ფასადის კარიდან მარჯვენა მხარეს გაკეთებულია წარწერა: „განახლდა წმინდა ეკლესია 1903წ აგვისტოს 30. წმიდისა ღვთისმშობლის წყაროცხოვრების სახელსა ზედა და ამავე წელსაიქმნა-განახლებული ახლის მილით ეს მონასტრის წყალი ვითხოვ აღმომკითხველთაგან შენდობას მშრომელი ამისი“ არსებული წყალსადენის სათაო ნაგებობა ფაქტიურად არ შეცვლილა, ცვლილებას განიცდის თიხის წყალსადენი, მისი განახლება მოხდა 1903 წელს შეიცვალა არსებული თიხის მილები უცხოეთიდან შემოტანილი მოჭიქული თიხის მილებით. როგორც ირკვევა ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე წყალი ორ მკლავად არ იყოფოდა და ის სრულად მონასტერს მიეწოდებოდა. რაც კარგად შეუნიშნავთ რუს ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს. მათი ცნობით გელათის მახლობლად ყოფილა ქვის სვეტი, რომლიდანაც თუ ონკანს გააღებდით შადრევნიდან ამოასხამს წყალი „ზემოთ ერთ და განზე ორ საუენზე“. წყალი მიწისქვეშ გაყვანილია ქალაქში (მონასტერში) და შედის პალატებსა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაგებობებში. ზემოდ ხსენებული შადრევანი 18 საუკუნეში მოქმედი იყო, რაც ჩანს 1781 წლით დათარიღებულ მეფე სოლომონ 1 -ის შემოწირულობების წიგნიდან, ხოლო შემდგომში მონასტერში მობინადრეთა რაოდენობის შემცირების კვალდაკვალ მონასტერს მიეწოდებოდა მოპოვებული წყლის მხოლოდ მესამედი. ხოლო მონასტრის ეზოდან წყლის გადინება ხდებოდა სადინარების საშუალებით კოდის წისქვილისაკენ, რომლის ნაშთების დღეისათვისაც შემონახულია.

არსებული მდგომარეობის აღწერა

გელათის მონასტრის აღმოსავლეთით, 180 მ მოშორებით მდებარეობს წყაროსთავის ეკლესია, მისგან 9 მეტრში მდებარეობს მონასტრის წყალმომარაგების სათავენაგებობა. მასში მოხვედრა შესაძლებელია მის თავზე მოქცეული ჭის საშუალებით. ჭას თავზე ახურავს რკინის ფირფიტა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საიმედო დაცვას ან უსაფრთხოებას. ჭა წარმოადგენს ბეტონისაგან აგებულ ოთკუთხედს (88/83), დატანებული აქვს რკინის საფეხურები (რომლებიც დაზიანებულია), რისი მეშვეობითაც ვხვდებით მიწისქვეშა დერეფანში. ის მარჯვენა მხარეს მდებარეობს დარბაზი, მარცხნივ --- გვირაბი, რომელშიც გადის მონასტრის ეზოში შემავალი წყლის მაგისტრალი.

დარბაზი, რომელშიც მოხვედრა შესაძლებელია აღნიშნული დერეფნის საშუალებით, წარმოადგენს გელათის მონასტრის წყალმომარაგების სათავენაგებობას, მისი კედლები ნაშენია ქვით, ალაგ-ალაგ ეყრდნობა კლდის კალთებს. დარბაზს აქვს ტრაპეციის ფორმა, მისი სიგრძე 11მ-ია, შესასვლელთან ის შედარებით ვიწროა, მისი სიგანე დაახლოებით ხუთი მეტრის მანძილზე 1,5 მ-ია, შემდგომ დარბაზი ფართოვდება და სამ მეტრს აღწევს. დარბაზი თარებით იყოფა სამ ნაწილად. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ კედლებში იათაკის დონიდან 35-50 სმ სიმაღლეზე ოთხი სარკმელია დატანებული, მათში ჩანს კლდის ქანები, რომელიც დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს, დახურული არხით უკავშირდება დანარჩენ სამ აღმოსავლეთით მდებარე შედარებით მცირე ზომის სარკმლებს, რომლებიც ერთმანეთს 7,5 მ სიგრძის წყალშემკრები არხებით უკავშირდებიან. წყლის სარკე ცალკეულ ნიშნებში სხვადასხვაა. პირველის - 1,12მ/2, მეორის- 1 მ/2, ხოლო მესამის 0,64 მ/2 - ის ტოლია. არხის სიღრმე 30-35 სმ. ვარაუდობენ, რომ დარბაზი მიშენებულია დიდ დებეტიან წყაროს, რომელიც ვულკანური ქანებიდან გამოდის.

ქვაბული წარმოადგენს წყალშემკრებ ავზს, რომლის აღმოსავლეთ მხარეს გაჭრილა სიგრძეზე ტრანშე, აქვე აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია ნიშები, სადაც ხდება კლდოვანი ქანებიდან გამონაჟონი წყლის თავმოყრა. კლდის ქანებიდან გამოსული წყალი მიედინება დარბაზის გასასვლელისკენ, სადაც მოთავსებულია რკინის ორი მილი (100 და 200 მმ).

100მმ -იანი მილი, როგორც ჩანს გზის მშენებლობამ დააზიანა, რომელიც თიხის იყო და მის ნაცვლად გამოყენებული არის რკინის მილი 12 მ სიგრძის, (აღნიშნული მილი დაზიანებულია, ასევე დაზიანებულია მასზე დამონტაჟებული ურდულიც, რომლიდანაც წყალი გადმოდის და გვირაბში იქცევა), რის შემდეგაც ის უერთდება თიხის კერამიკულ მილს. წყალი მიეწოდება მონასტერს გვირაბის გავლით, სათავენაგებობიდან მონასტრის ეზოში წყარომდე მასზე დამონტაჟებულია ექვსი ჭა, რომელთა მდგომარეობა სანიტარული თვალსაზრისით სავალალოა და რამდენადაც თიხის მილიც დაზიანებულია, რომელიც კარგად ჩანს

ჭებშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ მოპოვებული წყალი დროდადრო დასალევით უვარგისი ხდება.

მეორე 200 მმ (თავზე ადევს 100 მმ მილს), როგორც ჩანს გათვალისწინებულია ჭარბი წყლისთვის, ის კვეთს გზას დასავლეთის მიმართულებით და 30 მ-ში ჩაედინება რეზერვუარში, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა.

გვირაბი

გვირაბი ნაგებია ნაგებია მცირე ზომის ფლეთილი ქვებით, შესასვლელთან მისი სიმაღლე 130სმ-ია, სიგანე—93სმ. ისი სიმაღლე სხვადასხვა მონაკვეთზე მერყეობს 130-156სმ, სიგანე კი 75-95 სმ ფარგლებში. გვირაბი დაზიანებულია, ამდენად შეუძლებელია მასში მოძრაობა, მაგრამ არ აფერხებს წყლის მიწოდებას მონასტრისთვის. მისი სიგრძე შეადგენს 180მ. აღნიშნული მიწები გადის გვირაბში და მოთავსებულია იატაკში ჩაჭრილ არხში. 1903 წელს გელათის მონასტრის წყალსადენი შეუკეთებიათ და თიხის ადგილობრივი წარმოების მიწები შეცვლილია უცხოეთიდან ჩამოტანილი მოჭიქული თიხის მიწებით, რომლის მეშვეობითაც მარაგდება მონასტერი წყლით.

წყალსადენით გამოყვანილი წყაროს წყალი, თიხის მაგისტრალით სამრეკლოს პირველ სართულში მიედინება სპეციალურად მისთვის აგებულ აუზში, საიდანაც ის სადინარის საშუალებით გადაყვანილია გელათის მონასტრის ეზოს გადაღმა.

დღეისათვის მონასტრის ეზოში წყაროს დებეტი არის 56 მ³ დღეღამეში. წნევა კი არ აღემატება 0.8 -ს. ხოლო 200 მმ მილით მოსახლეობაში მიმავალი წყლის დებეტი დაახლოებით ორჯერ აღემატება მონასტრის ეზოში არსებული წყაროს დებეტს. ამდენად სათავენაგებობიდან გამომავალი წყლის დებეტი შეადგენს 168000-170000 ლიტრ წყალს დღე-ღამეში.

რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ გაიზარდოს წყლის მიწოდება მონასტრის კომპლექსისათვის (რათქმა უნდა არა მოსახლეობის ხარჯზე) და ასევე მიწოდებული წყლის წნევის გაზრდა მოითხოვს კვალიფიციურ გაანგარიშებებს, რომელიც მომზადდება სათანადო პროფილის სპეციალისტების მიერ პროექტის მიმდინარეობის მეორე ეტაპზე.

არქეოლოგი,
როლანდ ისაკაძე

რ. ისაკაძე

29.10.08